

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 8.

კვირა, ივნისი 1, 1908 წ.

ფასი წლიურათ — 4 მან.

ნახევარა წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეკათ.

აღრანი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში—სეფეველისა; სამღვდლოების ავტორი—**Fanius**—ისა; მოსე წინასწარმეტყველ და ივ. გომართლის იტიბოჯია—სანმანთანისა; რევიზიის დასასრული—**ბოსლვევლისა**; ქორწინება თუ თავისუფალი სიყვარული—**სარკინელისა**; კვირიდამ კვირობამდე; ცოტა რამ ტყიბულზე—**მართალიშვილისა**; წერილი რედაქციის მიმართ—**მღ. რაქდენ სანებლიძისა**.

ყოველ კვირულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევში № 17) და საგზაო საბჭოში — წლიურად ფასი 4 მან. ნახ. წლით მ. მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

არაა, მაშასადამე, რომ კაცს არასოდეს არ მიუტია თავის თავისთვის მოსვენება და არც ღლეს ისვენებს უიმისოდ, რომ არ იკვლიოს, არ იწვლილოს, არ ჩხრიკოს და არ იძიოს — როგორ, როდის და რისგან გაჩნდა ქვეყნიერობა, აქვს რაიმე განსაზღვრული და გარკვეული აზრი კაცის და ქვეყნიერობის არსებობას თუ არა, გაირჩევა რითამე კაცი დანარჩენ არსებთან თუ არა და სხ.

სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.*)

II.

კაცი ბუნებით ცნობის მოყვარე არსებია. მას ყოველთვის სწყურია იცოდეს რაც მას გარშემოა, ყველაფერს აკვირდება, ყველაფრის გამოძიებაში შედის, მეცადინობს ყველაფერს მისწვდეს, ყველაფერს გადახადოს ფარდა და ყველაფერს შეხედოს ფეხლებში. ბოეში ხომ ბოეშეით, და ისიც, ამ იღვას თუ არა ენას, მოსვენებას აღარ აძლევს დედამის კითხვებით: საიდან გაჩნდა ხე, რისგან შესდგება ქვა, რა არის ის მაღლა, ჯამივით რომ თავს გვაფარია, რატომ არ ჩამოცივებან ძიოს ღამდამობ თ რომ ცაში ცეცხლის ნაპერწკლები ციმციმებენ, რა არის ცის იქით და სხვ. გასაკვირვებელი

სარწმუნოებრივ მოძღვრებას, რომ ქვეყნიერობა დაბადა და გააჩინა არა რისიგან დაუსაბამო და ყოველად შემძლე ღმერთმა, რომ ქვეყნიერობას აწარმოებს ღვთის განგება, კაცი განსხვავებულია დანარჩენ არსებთან ღვთისაგან შთაბერილი უკვდავი სულით და ადამიანის არსებობის მიზანს შეადგენს ღვთისადმი მიახლოება, ზეციური მოქალაქობის შეძენა, ღვთის შეილად გახდომა, ამ საღმრთო მოძღვრებას ერთგვარი მექანიერების მიმდევარნი სთვლიან ზღაპრად და ბავშურ ოცნებად.

(მგრედ წოდებული მატერიალისტები, მათ შორის ჩვენს პირველ წერილში*) მოხსენებული ქართულ წინგაკის „ეროვნული საკითხი“-ს ავტორიც სასტიკად ჰკიცხავენ და ღანძლიავენ სამღვდლოებას — რათ უქადაგებთ ხალხს, რომ ქვეყნიერობა ღვთის ქმნილებააო, რად შევაქვთ ამ გვარი მოძღვრება სასწავლებელში და რისთვის

*) იხ. „შინ. საქ.“ № 4.

*) იხ. „შინაური საქ.“ № 4.



უბრალოდ ასეთი შეცდომილებით გონებას მოზარდ თაობას, რატომ არ იწამებო, რომ ეგ მოძღვრება ნაყოფია უფიცობისა, რატომ არ გინდათ შეიგნოთ, რომ მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა მაგისი არაარაობა და ზღაპრული თვისებაო...

სხენებული მიმართულების მიმდევართა აზრით ქვეყნიერობა, ე. ი. საგანთა უფალავი მრავალფერობა: მიწები, ქვები, მადნეულობა, წყალი მცენარეები, ცხოველები, კაცი, ჰაერი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ერთი სიტყვით ყველაფერი შესდგება ოთხმოცი სადა, ობოლი, მარტვი, სულ უბრალო საგნისაგან. ამ ოთხმოც მარტივ საგანს საზოგადო სახელად უძახიან ელემენტებს. ელემენტებია, მაგალითად: ოქრო, ვერცხლი, რკინა, თითბერი სპილენძი, კალა, ცინკი, ტყვია, ნიკელი, ნახშირი, იოდი, გოგირდი, დარიშხანა და სხ. ეს ელემენტები შეადგენენ ქვეყნიერობის ძირეულ მასალას, ნივთიერებას, მატერიას. მატერია ნივთიერება ანუ მატერიაა, რომ ნამდვილად აჩვენებს და მას გაჩნდა, მის შექმნა ექვეყნა ზღაპარი და ცრადი ოცნებაა. მატერია თვითაჩნდა, იგი არაა არ გაუჩენია, არავის არ შეუქნია. არ ყოფილა ეამი, რომ მატერიას არ ეარსებოს და არც იქნება დრო, რომ იგი გაქრეს, მოისპოს და დაიკარგოს.

უძველეს დროში ქვეყნიერობის მასალა, ელემენტები ანუ მატერია წარმოადგენდა ადულებულ და ორბქლად, გაზად ქცეულ სითხეს. ეს გაზურებული გაზი თანაბრად იყო გაშლილ მოფენილი ქვეყნიერობის სივრცეში. გაზისებური ნივთიერებისაგან რომ გაწყობილი ქვეყნიერობა წარმოსდგა, ეს მოახდინეს მატერიის ძალებმა, მატერიის განაკუთრებითი თვისებებმა: მოძრაობამ, ურთიერთისადმი მიზიდულობამ და ქიმიურმა ნათესაობამ. ამოვე ძალების შედეგია, რომ ქვეყანაზე ყველაფერი მოწყობილია გარკვეული და დაურღვეველი ზომით და წესით, ყველაფერი სწარმოებს თავის რიგზე და საკუთარ ფარგალში.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი მოძღვრება არაფერ ალავს არ უთმოს ს ღმერთს ქვეყ

ნიერობის გაჩენა-არსებობაში. მარტოდ მარტო მატერია თავისი ძალებით, აი მისი რწმენით ნამდვილი შემოქმედი და მაწარმოებელი ქვეყანისა!

ვნახოთ ახლა რა სცხია მეცნიერებისა ამ მოძღვრებას?

მატერია თვით აჩნდა და დაუსაბამოა, ამტკიცებენ სარწმუნოების მოწინააღმდეგენი და ჩვენც სწორეთ ამ მუხლს ვავლებთ ყველაზე პირველად სქელ ხაზს. სარწმუნოების უარის მყოფლებს არა აქვთ არავითარი უფლება და საბუთი იხმარონ სიტყვები: თვითარსი, საუკუნო, დაუსაბამო, სამარადისო. ეს სიტყვები სრულებით არ უნდა მოიპოებოდნენ მათ ლექსიკონში, ამ ცნებებს არავითარი აზრი და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეთ მათ ენაზე. რატომ? იმიტომ რომ მათი მოძღვრების ძირითადი მოთხოვნების თანახმად სრული და შეუმცდარი სინამდვილის გამოძახა ეველია მხოლოდ ის ცოდნა, ის ცნება, ის აზრი, ის იდეა და წარმოდგენა, რომელსაც სარწმუნოდ უღივს კაცის გამოცდა-დაკვრება, რომელიც დამყარებულია ადამიანთა ერთ-ერთ გარეგნულ გრძნობებზე, მხედველობაზე, სმენაზე, ყნოსვაზე, გემოვნებაზე ან შეხებაზე, რომელიც აღებულია ხილული ბუნებიდან. როდესაც კაცის აზრს არ ახლავს ეს თვისება, მაშინ ის განწყენებული და მეტაფიზიკურია, ე. ი. წარმოადგენს ოცნებას და არა სინამდვილეს.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვინ იყო ის ბედნიერი, რომ შემთხვევა ჰქონდა დაენახა და გამოეცა და ქვეყანაში ის, რასაც გამოსთქვამს სიტყვა თვითარსი, დაუსაბამო, საუკუნო, სამარადისო? რომელმა შეხებითი საშვალეებამ გამოიწვია კაცის გონებაში წარმოდგენა დაუსაბამოს შესახებ? რომელმა გრძნობამ გაუწია ამ შემთხვევაში მატერიალისტებს ხელმძღვანელობა და საჭირო დახმარება? განა თავისთავად ცხადი და ნათელი არაა, რომ თვით არსს და სამარადისოს ვერსად ვერ დაინახავდა, ვერ გამოსცდა და ვერ შეეხებოდა წუთიერ, ცვალებად და წარმატალ ქვეყანაში განსაზღვრული გრძნობა გონების პატრონი კაცი? აქ ორში ერთია: სარწმუნოების მოწინააღმდეგეა

ან უნდა დაუსაბამო და თვითარსი აღიარონ მეტაფიზიკურ, განუყენებულ იდეად და თანახმად საკუთარი შეხედულობისა, უწოდონ მას ოცნება და არარაობა, ან სცნონ საზოგადოთ მეტაფიზიკური აზრების სინამდვილე და ამ შემთხვევაში ქელი მოიხარონ და დაემორჩილნენ სარწმუნოებრივ მოძღვრებას. სხვა გვარი დასკვნა წარმოუდგენელია.

მეცნიერების გვირგვინი, მეცნიერების ბურჯი და ძალა არის ფილოსოფია. ამ უმაღლესი ხარისხის მეცნიერებას დიდი ხანია გამოარკვეული და განსაზღვრული აქვს მარადისობის და დაუსაბამობის აზრი და მნიშვნელობა. ფილოსოფიურად დაუსაბამოს ნიშანდობლივ და დამახასიათებელ თვისებას შეადგენს უცვლულობა, ყოველ ექვს ერთი და იგივეობა, დაუსაბამო რაც თავშია, იმადვე რჩება ბოლომდე, მეცნიერული აზრით დაუსაბამომ არ იცის ცვალება, განვითარება, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, მიღება სხვადასხვა სახისა, სხვადასხვა ფორმისა. სარწმუნოების მოწინააღმდეგეთა მოძღვრება მატერიის დაუსაბამობის შესახებ მეცნიერულად იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი ცა და ქვეყანა, ის სახე და მდგომარეობა ქვეყნისა, რომლითაც მას ვიცნობთ დღეს, შეუცვლელად მოქდინარგობს ეამთა სიღრმიდან, ე. ი. იმ თავითვე ქვეყნიერობა ყოფილა ერთსა და იმავე მდგომარეობაში, ყოველთვის ერთი და იგივე სახე ჰქონია, არავითარი ფორმები არსებათა არ განუვითარებია, ერთხელ ჩამოყალიბებულს დღევანდელ სახით, არავითარი ცვლილება არ განუცდია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრს მატერიალისტს, მაგალითად, კოლბეს, სრულ ქეშმარიტებად მიაჩნიათ უცვლელობა და იგივეობა ყველაფრისა ქვეყანაზე, მაგრამ ეს ნაყოფია უბრალო აზირებულობისა. ყველასთვის თვალსაჩინოა მატერიის განვითარება, მატერიის ევოლიუცია და სალი განების პატრონისათვის არსაფერს საცილობელს არ წარმოადგენს ის დასკვნა, რომ რაკი მატერია ცვალებადია, რაკი იგი განიცდის სხვა და სხვა მდგომარეობას, დებულობს სხვა და სხვა ფორმებს, აუცილებლად დასაბამივ აქვს, აქვს ის მომენტი, რომლის

შემდეგაც მან მიიღო ვარკვეული სახე, გადავიდა ახალ მდგომარეობაში, პირველად განიცადა ის, რაკ მანმდის არ განეცადა, გახდა იმად, რადაც წინეთ არ ყოფილა.

მართალია, რომ მატერიის რაოდენობას დღეს ვერც არაფერს მოვკლებთ და ვერც არაფერს მიუმატებთ, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება აქედან მატერიის დაუსაბამობის და სამარადისობის დასკვნა. რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს თვისება მიკნიქა მატერიის შემდეგ მისი გაჩენისა შემოქმედისაგან? რომელი მეცნიერული დებულების წინააღმდეგია ეს მოსაზრება და რა საბუთებით შეიძლება მისი უარის ყოფა? ან არა და რატომ არ უნდა ვიწაქოთ, რომ დღეს არა გვაქვს შესაფერი განვითარება გონებისა და ამის გამო ვერა მოგვიკლიარა მატერიისთვის, მაგრამ მომავალში ალვიქურებით უმძლავრესი კოლნით და შევძლებთ იმას, რაც დღეს შეუძლებლად გვეჩვენება? რა არის აქ უარსაყოფი და შეუწყუნარებელი ან ლოლიკურად ან მეცნიერულად?

მეცნიერებაში მიღებული და ქეშმარიტებად ცნობილია, რომ გაზისმინავარ მდგომარეობაში მყოფი სავანი რომ მაგარ სხეულად იქცეს უსთუოდ საქირა ამისთვის შემდეგი ოთხი პირობიდან ერთ-ერთი რომელიმე პირობა: ა) ძლიერი შეკუმშვა გაზისა გარეშე ძალის დახმარებით. ბ) გაზის გაცივება, გ) გაზის ნაწილების შეერთება ქიმიური ნათესაობის კანონის ძალით და დ) გაზის ნაწილების შეერთება მათი ურთერთიადმი მიზიდულობის გამო.

საინტერესოა ვიკოდეთ ამ ოთხი აუცილებელი პირობებიდან, სახელდობრ რომელმა პირობამ გამოიყვანა მატერია პირვანდელი მდგომარეობიდან? რომელმა პირობამ გახადა ორთქლად ქცეული მატერია მაგარ სავანად?

გარდა მატერიისა არაფერი არ არსებობდა ქვეყნიერობაზედო, გვარწმუნებენ მატერიისალისტები და ამითი, ცხადია თავილთავად უარყოფილი ხდება პირველი პირობა.— შეკუმშვა მატერიისა გარეშე ძალის დახმარებით. უარსაყოფენ მატერიალისტები მეორე პირობასაც, რადგანაც მათი რწქენით, გაზურქებული და

ორთქლად ქცეული მატერია თანაბრად იყო მოფენილი ქვეყნიერობის სივრცეში, ე. ი. ქვეყნიერობაზე იდგა ერთგვარი სიზოზო და ტემპერატურა, არსად არ მოიპოვებოდა ცარიელი სივრცე და დაბალი ტემპერატურის სხეულები, რომ მათ მიეღოთ გახურებული მატერიის სიციხე, მათ დაეწიათ დაბლა ორთქლათ ქცეული მატერიის ტემპერატურა, მათ გაეგრძელებინათ გაცხელებული გაზი. რომ ქიმიური ნათესაობის ძალა ვერაფერს გასჭრიდა იმ პირობებში, რომლებშიც გვიხატავენ მატერიისალისტები პირვანდელ მატერიას, ამას, მიხედვრილი კაცისათვის მტკიცება არა სჭირდება. დარჩა უკანასკნელი პირობა—მატერიის ნაწილების ურთიერთისადმი მიზიდულობა, მაგრამ ვერც ამ პირობას გამოჰყავს გზა აბნეული მატერიალისტები გაჭირვებიდან, რადგანაც ერთი რომ გაზის ბუნებას, გაზის თვისებას შეადგენს გაფართოება, განზე გაწევა, გაშლა გაფენა და არა შეკუმშვა და შეორე, თუ მატერიალისტების სიტყვებით ორთქლად ქცეული მატერია თანაბრად იყო მოფენილი ქვეყნიერობის სივრცეში, ცხადია, მის თვითებულ ნაწილსაც თანაბარი, უმეტნაკლებო, ერთი და იგივე მიზიდულობა ექნებოდა სხვა ნაწილებისადმი, ე. ი. თვითებულ ნაწილი მატერიისა უნდა დარჩომილიყო უცვლელად იმ მდგომარეობაში, რომელშიც იყო თავდაპირველად. ბოგშვიც მიხვდება, რომ როდესაც ერთსა და იმავე საგანს, ერთსა და იმავე დროს თანაბარი და სწორი ძალები ეზიდებიან სხვა და სხვა მხარეს, საგანი დაუძვრელი რჩება თავისი ადგილიდან, იგი არც აქეთ იხრება და არც იქით.

ამ გვარად, რამდენიც უნდა ვატრილოთ მატერიალისტების ანუ სარწმუნოების მოწინააღმდეგეთა მოძღვრება ქვეყნიერობის გაჩენის შესახებ, მაინც ვერსად ვერ შეხვდებით მაში მეცნიერების ნიშანწყალს, მეცნიერების დებულებებთან თანხმობას და კავშირს. არა, ურწმუნოება და მეცნიერება ორი მოპირდაპირე, ერთი მეორესთან შეუყრელი და შეუთვინებელი პოლიუსია; მეცნიერება ენათესავება მხოლოდ სარწმუნოებას და ენათესავება პირდაპირი მოდგმით, სისხლის ჩამომავლობით და

არა მარტო გარეშე თვისებით, არა მხოლოდ მოყვრობით. დახეთ, რა სავალისებო და ხელის ხელ საგოგმანებელი ლექსებით გვისურათხატებს მეცნიერებისა და სარწმუნოების ურთიერთობას მოფლიო მეცნიერების დიდებული მნათობი გერბარტ სპენსერი: „ნამდვილი მეცნიერება და ნამდვილი სარწმუნოება—ტყუილებია. მთი განცალკევება, მათი ერთი მეორისაგან ჩამოშორება ორთავეს სიკვდილს, ორთავეს სულს ამოხდას ნიშნავს. მეცნიერება გამარჯვებულია იმდენად, რამდენათაც იგი სარწმუნოებრივია, ხოლო სარწმუნოება აყვავებულია ყოველთვის თანაბრად მისი საფუძვლის მეცნიერული სიღრმისა და სიმტკიცისა“. . ახლა მოუსმინოთ სხვებს, რა თვალთ უყურებენ იგინი კერძოთ დაბადების მოთხრობას ქვეყნიერობის გაჩენის შესახებ.

„მოსემ დაგვიტოვაო, ბძანებს კიუვე, კოსმოგონია, რომლის ქეშპარიტება დღემუდამ საოცრად ირკვევაო“.

„მტრობა და აბუჩად აღება მოსეს მოთხრობისა ქვეყნის გაჩენის შესახებ, ემოწმება კიუვეს სახელოვანი პროფესორი ფონ ბერი, — უნდა ეცნათ სამარტკვინთ ანაქრონიზმად, რადგანაც დიდი ხანა ბუნების-მეტყველების მეცნიერებამ გაუსწორა ყველა ანგარიშები ხსენებული მოთხრობის მოძულევებს. უნდა ვაღვიაროთ, განაგრძობს იგივე მეცნიერი, რომ ემაზე უმაღლესი თეორია არ დაუტოვებია ჩვენთვის წარსულს და, ვგონებ, ვერც მომავალი შესძლებს მახედ უკეთესის რამეს მოცემას“..

ასე მსჯელობენ სარწმუნოებისა და ქვეყნიერობის გაჩენის შესახებ სპენსერი, კიუვე და ფონ ბერი, მაგრამ ჩვენებურ **აზოპეტრეს** საყმაწვილო ჟურნალ ნაკადულში*) სულ ტყავი გაუძვრია სარწმუნოების და საბრალო მოსესთვის თავის „**სამეცნიერო საუბანა**“—თ.

აფსუსს, საცოდავო სპენსერო, რომ ვერ ელირსე აღნიშნული სამეცნიერო საუბრის გაცნობას! მაშინ ხომ არ წამოგცდებოდა ზემოდ მოყვანილი **სიტუტუმა** სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთობის შესახებ, რაც ეხლა ასე თვალსაჩინოდ ამახინჯეს შენს, სხვაფრივ

*) იხ. „ნაკადული“ № 10 1907 წ.

შეტად ძვირფას, თხზულებს - აღზრდა გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური! იმედია, მეორე გამოცემის დროს, ინგლისი ისარგებლებს ჩვენებური სახელოვანი მეცნიერის გამოკვლევით და მისი ხელმძღვანელობით გერბარტ სპენსერის ნაჩვენები თხზულებიდან ამოშლის მოკვანილ სიტყვებს სარწმუნოების შესახებ!

სეფაველი.

სამღვდელოების ავკარბი.

(წერილი პირველი).

ახალმა, ეგრედ წოდებულმა „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ“, ზოგიერთ სიკეთესთან ერთად, ბევრი არევიც დარევა შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოთ, რაც ნიშნობლივი თვისებაა ყოველთვის ყოველი გარდამავალი ხანისა, ძველისა და ახლის დაპირდაპირების დროს. ამ არევას, რასაკვირველია, ვერ ასცდა სამღვდელოების ცხოვრებაც, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ისეა გადაწული და დაკავშირებული საზოგადოების ცხოვრების მიმდინარეობასთან, რომ კაცი ძნელად გამოარჩევს მისგან. დღეს ჩვენც ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ უკუღმართობას, უშიშრად შევხედოთ სინამდვილეს და თამამად კილაპარაკოთ ჩვენს ავსა და კარგხედავ: ნურც ჩვენს ნაკლს დაფთარავთ და ნურც ჩვენს ღირსებას (ხვას გავაქვლინებთ. ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესი და სარგებლობა, რათა ცხოვრებამ ნორმალური კალაპოტი მონახოს და სამღვდელოებამაც თავისი პირდაპირი დანიშნულება პირნათლად აღასრულოს ღვთისა და კაცის წინაშე. ჩვენ, რასაკვირველია, წინდაწინვე ისიც ვიცით, რომ მართლის თქმა ზოგიერთებისათვის არ იქნება სასიამოვნო, მაგრამ ამაში ჩვენ ნუ დაგვემდურებიან, თავის თავს დააბრალონ. რაც უნდა იყოს, მათ რისხვას კაცი გაუძლებს როგორმე, მაგრამ როგორ გაუძლოს კაცმა იმ გულგრილობას, ღანძღვაგინებას და ზიზოს, რომელსაც ახლანდელი საზო-

გადობა და საერო მწერლობა იჩენს სამღვდელოებისა და ეკლესიისადმი. სარწმუნოების შელახვა, ეკლესიის შეურაცხყოფა და სამღვდელოების ავად ხსენება დღეს ხელობად გადაიქცა ჩვენში და ამ სარბიელზე ზოგიერთებმა კიდევ ისახელეს თავი. გარემოებს შინაურებმაც აუბეს მხარი და ინტერნაციონალიზმის სახელით სარწმუნოებას საჭიროდ აღიარა რაცხავენ და სასარგებლოდ არა სთვლიან ქართველ ხალხისთვის, თითქოს სარწმუნოება უბრალო რამ ჩვეულება იყოს და მისი გულოდან გადაგდება ადვილად მოსახერხებელი. რაღა თქმა უნდა, სამღვდელოებაც უსარგებლოთ მიიჩნიათ და შეტბარგად სთვლიან ახლანდელი საზოგადოებისათვის. სარწმუნოებამ მოქმად თავისი დრო და ამიტომ სამღვდელოება, რაც ადრე გადაშენდება, მით უფრო ადრე დადგება ამ ქვეყნად სამოთხე, განხორციელდება სოციალიზმი.

მაგრამ სარწმუნოებისა და სამღვდელოებისადმი გულგრილობა და მისდამი უყურადღებობა ჩვენში მართლ დღევანდელი ამბავი არ არის. რა იყო ძველად სამღვდელოება და ეკლესია და რა დამოკიდებულება არსებობდა ერსა და მოძღვრის შორის, ეს ჩვენმა ისტორიამ კარგად იცის და ვინც მას სწავლობს, და არა მხოლოდ იხედება შიგ, ეკლდინება, რომ არც ისე აბუჩად ასაგდებია სამღვდელოება, როგორც ამას დღეს ჩვენში ჩადიან. ეს იყო ძველად მეთვრამეტე საუკუნის დასრულებამდე. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამ ხნის განმავლობაში სამღვდელოება თავის ღირსების სიმაღლეზე მდგარიყო და ნაკლები იარაღში ჰქონდა. ეს შეუძლებელიც იყო და აკი ხანდახან მაშინაც ისმოდა უკმაყოფილების ხმა. მაგრამ საქმე ამაში როდია. საქმე ის არის, რომ მაშინ საღვდღეოებისაგან მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რაც მისი მოვალეობა არის და რისთვისაც იგი მოვლენილია ქვეყნად. დღეს კი სულ სხვას თხოულობენ მღვდლისგან, რაც მისი საქმე არ არის. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი საქართველოს ბედისწეიკაა და ამან დიდი გავლენა იქონია სამღვდელოების დამოკიდებულებაზე მრევლთან. ერსაც და მღვდელსაც თავისი ვხა დაეზნათ და,

სანამ გამოერკვეოდენ და გონს მოვიდოდენ, მანამდი მტერმა თავისი ჰქმნა და შემდეგ ერთი მეორის ველარაფერი გაიგეს. ამიტომაც არის, რომ დღეს სამღვდელოების გავლენა ხალხზე ასე მცირეა და უმნიშვნელო. ამით უნდა აიხსნას ჩვენი მწერლობის უყურადღებობაც სამღვდელოების ცხოვრებისადმი. ვინც ჩვენს სიტყვას არ ენდობა, გადაათვალიეროს მთელი მეცხრამეტე საუკუნის საერო მწერლობა და სამწუხარო სურათს იხილავს. ამ მწერლობამ ვერ შექმნა სამღვდელოების ცხოვრებიდან ვერც ერთი ტიპი ქართველი მოძღვრისა. ვინ არ იცის, რომ ყველგან და ყოველთვის სიტყვა-კაზმული მწერლობა სარკვეა ცხოვრებისა. ხოლო თქვენ ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამ სარკვეში სამღვდელოების ნამდვილ სახეს. თქვენ იზოვით ქართულ მწერლობაში ჩვენებურ გლეხის, აზნაურის და თავადის ტიპებს თავისი ცული და კარგი მხარეებით, ხოლო მღვდლისას ვერაფერს გაიგებთ, თითქოს სამღვდელოება არც კი არსებობდეს ამ ქვეყნად. ჩვენ ვიცით ქართულ მწერლობაში მხოლოდ ორი მოთხრობა: „გლახის ნაამბობი“ ილ. ქავჭავაძისა და „მოძღვარი“ ალ. ყაზიბეგისა, მაგრამ მათში გამოხატულია მოძღვრის იდეალური და არა ქართველი მღვდლის ნამდვილი, რეალური სახე და ამიტომ ეს გამოხატულება ადვილად უდგება ყოველი ქვეყნისა და ყოველი ერის მოძღვრის ტიპს. ეს გარემოება თუმცა მათ ავტორებს ნაკლად არ ჩათვლებათ, მაგრამ ჩვენ აქ სიტყვა იმაზედ გვაქვს, რომ სამღვდელოების ყოფა-ცხოვრება თავის ღირსება-ნაკლულოვანებით, ისე, როგორც ნამდვილად არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ქართულ მწერლობას არ დაუსურათებია, თითქოს უფროსი საზოგადოების აზრს: „განა-სამღვდელოება მაგოდენა ყურადღების ღირსია, რომ იმის ცხოვრების დასურათება ღირდესო“. დანარჩენმა მწერლებმა, მაგ. დ. კლდიაშვილმა თავის „მრევლში“ და მელანიამ „ბნელოში“ გაკვირვებით მოიხსენიეს, მხოლოდ შეეხენ მღვდლის სახეს, მაგრამ ერთი მრთელი და დასრულებული ტიპი ვერ დაგვიხატეს. არც გაემტყუ-

ნებათ: მათ თავისი დუმილითაც აშკარად გამოხატეს ქართველი საზოგადოების ფსიხოლოგია და მასა განწყობალება სამღვდელოებასთან. განა ეს გარემოება ნათლად არ მეტყველებს თავის თავად, თუ რამდენ ყურადღებას უწილადებდენ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები სამღვტელოებას და ეკლესიას? ოღონდაც, რომ ნათლად სჩანს და მით უფრო სამწუხაროა. სამწუხაროა, რადგან ეტყობა, ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ჩვენს ბედში მყოფი ერისათვის სამღვდელოების საჭიროება და სარგებლობა. ჩვენ არაფერს ვამბობთ სამღვდელოების ღვაწლზე წასრულში. არაფერი ითქმის, რასაკვირველია, ჯერჯერობით არც მომავლის შესახებ, როცა... როცა..., მაგრამ იგი ხომ ჯერ კიდევ ისე შორს მოსჩანს, რომ იქნამდი არც თვალი და არც გონება არ მიგვიწვდება. მაშ, სამღვდელოება უნდა დაფასებულიყო ახლანდელი ცხოვრების საჭიროებისა და მოთხოვნებისა და გვარად. მაგრამ ეს ჩვენმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ, როგორც ზევით ვსთქვით, არა სცნო ყურადღების ღირსად და გვერდი აუარა ისე, როგორც ნამდვილად ცხოვრებაში ხდება: ჩვენს „განათლებულ“ საზოგადო მოღვაწეთ ქული რომ შეუგდოთ ეკლესიაში, გამოსატანად არ შევლენ. დღემდი ეკლესია დაბალი, უბირი ხალხის საქმედ მიაჩნდათ, ხოლო დღეს კი აღარც მისთვის სცნობენ საჭიროთ. აღბად წარმოიდგინეს თავის გონებაში, რომ ხალხიც მათსავით „განათლდა“ და დროა მანაც ეკლესიას გვერდი აუაროსო. თუ ეს ასე იყო ამ ცოტა ხნის წინედ, სამღვდელოება და მისი საქმეები არავის აინტერესებდა, დღეს ხულსხვა სურათს ვხედავთ. ჩვენმა ახალმოდის მწერლებმა შეიცვალეს გუნება, მოიღეს მოწყალება და თავისი განათლებული ყურადღება სამღვდელოებასაც მიაპყრეს, მაგრამ სულ სხვა განზრახვით. დღეს თქვენ ერთს გაზეთსაც ვერ აიღებთ ხელში, ერთს წიგნაკსაც ვერ წაიკითხავთ ისე, რომ შიგ სამღვდელოებისა და ეკლესიის შეურაცხყოფა არ შევკბდეთ. მათი მიზანი და განზრახვა ცხადია. უნდათ ისარგებლონ ხალხის უმეტრებით და — შეაძულონ მას

სამღვდულოება, გადავიდონ ერთი მღვდელს და ამით ვითომდა მოიახლოვონ ამ ქვეყნის სა- მოთხე, რომლის მალე განხორციელებასაც ვითომ სამღვდულოება ელოდება წინ. ამ გან- ზრახვით დაიწყეს პირველიდგან ქადაგება სოფ- ლად და ქალაქად და ასევე განაგრძობენ დღე- საც წერით სამასხარო და სალავბო თურნალ- გაზთებშიაც. უნდა გენახათ „მას ეამსა შინა“ რა თავ-გამოდებით ცდილობდნენ მოქადაგე ბიკ-ბუკები სამღვდულოების დამცილებას ხალ- ხის თვალში და ზოგან კიდევ მიიღწიეს მი- ზანს, რადგან შულის ჩამომგდები საგანი აღ- ვილი საპოვნელი შეიქმნა. ვინ არ იცის, რომ დღეს სამღვდულოება ნივთიერად ხალხზეა და- მოკლებული და აი ეს გამოიყენეს ხალხის ასაღელვებლად. არც ერთი გროში მღვდელ- სო, უბძანეს და ნებსით, თუ უნებლიეთ ხალ- ხმაც მოუსპო სამღვდულოებას ცხოვრების სახ- სარი. გამწვავდა დამოკიდებულება, მოხდა შე- ტაკება და აირია მონასტერი. მათაც ეს უნ- დოდათ, რადგან ამღვრეულ წყალში უფრო ადვილია თევზის შოვნა. გამწვავებული დამო- კიდებულება დღესაც არ მომბაღა. დღესაც ზოგს სოფლებში ბევრს უსიამოვნებას განი- ცდის სამღვდულოება ვიგინდარა მეტიორების- გან განსწავლულ პირთაგან. მერე რა დააშუა სამღვდულოებამ? აი საკითხავი, რომელსაც პასუხი უნდა ვაგვსეთ შემდეგ წერითში.

Fanius.

მოსე შინასწარმთავარი*) და ივ. გომარ- თლის იხიბოხია.

მესამე იერში ბ. გომართელს იმ თქმუ- ლებაზე მიაქვს, რომელიც აგვიწერს პირველ კაცთა ცოდვით დაცემას. საბუთი? ერთ თიხის ფიკარზე, რომელიც ეკუთვნის იმ დროს, რო- დესაც მოსე ჯერ დაბადებულიც არ იყო და რომელიც ეხლა ბერლინის მუზეუმში ინახება, გამოხატულია ცოდვით დაცემა პირველ მშო-

ბელთა. „ფიკრის შუაგულზე დახატულია ხე- ორი ნაყოფით. მარჯვნივ დგას კაცი, მარცხ- ნით ქალი, ხოლო ქალის უკან გველი. აქედგან სჩანსო, განმარტებს გომართელი, რომ ცოდვით დაცემა, რომელზედაც მოგვითხრობს მოსე, განცხადების ნაყოფი კი არ არის, არა- მედ უბრალო გადმოღებააო“. მკითხველს ვთხოვთ მტკიცეთ იღვეს იმ განმარტებაზე, რომელიც ჩვენ მივეციით სიტყვას „განცხადე- ბა“. ჩვენ ესთქვით, ვიმეორებ ხაზგასმით, სამ- ლვთო განცხადება არ მოითხოვს განცხადე- ბულ საგნის სიახლეს. ცოდვით დაცემა ისტო- რიული ფაქტია და ეს ფაქტი ცნობილი იყო ქვეყანაზე პირველი კაციდგან დაწყებული და რა ნაირად შეიძლება განცხადებია ეს ღმერთს, როგორც ახალი და უცნობი რამ. განცხადებულად მითომ ვუწოდებთ ამ თქმუ- ლებას და სხვა ისტორიულ ფაქტებსაც, რომელნიც აწერილია ბიბლიაში, რომ იგინი ღვთის ზენაგონებით ან ღვთის შეწევნით ისეა აწერი- ლი, როგორც მოხდა და არა ისე, როგორც მოგვითხრობენ სხვა და სხვა ზღაპრები და მათ შორის ბაბილონის შითებიც.

ასეც რომ არ იყოს, ეს სურათი მაინც არ შეიძლება იყოს პირველ მშობელთა ცოდ- ვით დაცემის გამოხატულება; ამ აზრისანი არიან მთელი გუნდი მეცნიერთა, რომელთაც უურადღება მიუქცევიათ მისთვის. მაგ. ოპპე- რი, მენანი, შრედერი, გალფი, დილმანი, იენსენი, ბუდღე, გოლდინგერი, კენიგი, ნი- კელი და სხვანი მრავალნი. თვით სურათი ისე- თი მარტივი არ გახლავთ, როგორც გადმოგვ- ცემს ბ. გომართელი, ფიკარზე გამოხატულია კაცის მსგავსი ორი არსება. მარჯვნივ მდგომს რქები ასხია, ხოლო მარცხნივ მდგომს რაღაც უნდა ეხვიოს თავზე. ორივეს კი გრძელი ტა- ნისამოსი აცვია. გომართელის სიტყვით ერთი მათგანი ქალი უნდა იყოს და მეორე კაცი, სახელდობრ მარჯვნივ კაცი და მარცხნივ ქა- ლი. რა ნაირად სცნობს ამ სქესებს ბ. გომარ- თელი სურათზე ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ გვაკვირებს რქებიანი კაცი. მაგრამ ეს უთუ- ოდ იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ აღამიანი რქიანი ცხოველიდგან განვითარდა... ის გა-

*) იხ. „შ.ნ. ს.ჯ.“ № 7.

მოხატულება ამ სურათზე, რომელსაც გომართელი და დელიჩი გველს ეძახიან იმდენად გაუგებარია, რომ შავ. ვალოვის, ტრეს და იენსენის აზრით იგი უბრალო დაკლანძობაა, რომელსაც ორნამენტის მნიშვნელობა აქვს. ტრეს იმ აზრისაა, რომ ეს სურათი წარმოადგენს ჩვეულებრივ სცენას ბაბილონის სარწმუნოებრივ ცხოვრებიდან. უთუოდ დახატულია რომელიმე ღმერთი და მისი თაყვანის მცემელი კაცი. (იხ. Библия и Вавилонъ стр. 67).

ასე სჯიან ამ სურათის შესახებ ის მეცნიერები, რომლებსაც ყურადღება მიუქცევიათ და შეუსწავლიათ იგი.

მეოთხე იერიში გომართელს წარღვნის თქმულებაზე მიაქვს და ამბობს ესეც ნასესხევიან, რადგან სარდანაპალის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ასეთივე თქმულება. დიხ, ბ. ვომართელო, აღმოჩნდა და კიდევ უნდა აღმოჩენილიყო, მიტომ რომ წარღვნა განდა იტორიული ფაქტი და ეს ფაქტი გაზღაპრებული დარჩა კაცობრიობაში ხოლო მოსეს წიგნში სულსწმიდის ძალით მან მიიღო თავის პირველსაზე; განცხადებულიც მიტომ არის მოსეს თქმულება, რომ იგი განწმედილია ზღაპრული ელემენტებიდან.

მაგრამ მოვიყვანოთ საესებით ეს თქმულება როგორც იგი აწერილია სარდანაპალის (თუ ა. ურბანიპალის?) ბიბლიოთეკის ერთ ერთ თიხას ფ. ცარზე. „სოლოური თქმულება წარღვნაზე აღმოაჩინა პირველათ 1872 წ. ინგლისელ ასსირიოლოგმა დე. სმიტმა ასსურბანიპალის ნინევიის წიგნთსაცავში. ეს თქმულება შეადგენს ნაწილს პოემისას გილგამეშზე ან იზდუბარზე და უპყრია ამ პოემის მეთერთმეტე ფიცარი. ეს პოემა დიდი თხზულებაა, რომელიც შესდგება 12 შაირისაგან და უპყრია ასსურბანიპალის წიგნთსაცავში. პოემის შინაარსი მოგვითხრობს ქ. ერების მეფის გილგამეშის ან იზდუბარის გმირობაზე. ამ გმირობამ მოუპოვა გილგამეშს ყურადღება ღმერთ ქალის ისტარსა, რომელმაც მოინდომა მისი ცოლად გაყოლა: იზდუბარმა არა თუ უარი უთხრა, არამედ გალანძლა კიდევ. მაშინ გარისხებულმა

ღმერთ ქალმა გადასწყვიტა ხასტიკი შურისძიება. ჯერ მან მოუყვლინა ქალაქ ერებს საშინელი შარი ხარი, შემდეგ მოუყვლა გილგამეშს მისი საყვარელი მეგობარი და, უკანასკნელ, თვით იგი დასაჯა კეთროვანებით. დაწუხებული და ვენებული გმირი წავიდა რჩევის საკითხად ერთ ზრძენ კაცთან, რომელსაც სახელად უსტნაპისტიმი ერქვა. გილგამეშმა სძლია ყოველ გვარ დაბრკოლებას და დიდხნის მოგზაურობის შემდეგ მივიდა ზრძენთან. გილგამეშმა რჩევა სთხოვა უსტნაპისტიმს და ამასთანავე გამოჰკითხა, თუ საიღვან მოხვდა იგი ასე შორე მხარეში და ღმერთების კრებაში; ამის პასუხად უსტნაპისტიმმა უამბო მას ისტორია წარღვნისა, რომელსაც ის სასწაულებრივ გადაურჩა ღმერთის ეას მეოხებით. „მე განვიცხადებ შენ,—უთხრა, მან საიდუმლოებას, მოგიხრობ შენ ღმერთების გადაწყვეტილებასაც შენ იცი ქალაქი სურბანიპაქი, რომელიც მდებარეობს მდ. ეფრატზე, ქალაქი ძველი. იქ ღმერთებს მოუვიდათ აზრათ წყლით წარღვნა. ყველა დიდებული ღმერთები ბქობდენ: შშობელი მათი, ღმერთი ანუ, მათი მრჩეველი მრისხანე ღმერთი ბელი, მათი სული გამანადგურებელი, ღმერთი ნაბიბი, მხედართ-მთავარი მათი, ღმერთი ნერგალი, მფლობელი ქვესკნელისა. გარნა მეუფე გამოუთარგმანებელის სიბრძნისა, ღმერთი ეა იჯდა მათთან (და ყურს უგდებდა). და განუცხადა მათი განძრახვა ლელწმის ქოხებს: „ქოხო! ქოხო ლელწმისაო! სასახლეო! სასახლეო აგურისაო! ისმინე ქოხო! ისმინე სასახლეო! (აზრი უთუოდ ის არის რომ ღმერთების განჩინებებ ეცხადება ყველას—მდიდარსაც და ღარიბსაც). სურბანიპაქი, შვილო ურუმატუტუ! მოსკერი სახლი, გააკეთე ხომალდი! დაუტევე მამული, დაიცვე სიკაცხლე! დაუტევე სიკეთე, შეინახე სიკაცხლე! შეიყვანე ხომალდში ყოველ გვარი ცხოველის თესლი! ხომალდი იყოს გრძელი, ერთნაირი სიგრძისა და სიღრმისა. უსტნაპისტიმის შეკითხვაზე, თუ როგორ აუხსნას მცხოვრებლებს ქალაქიდან გახვლა, ეამ უპასუხა: „ასე უთხარი მათ: ბელმა უარყუა მე და შემოძულია. ამიტომ მე არ შემოძლია, დავრჩე თქვენს ქა-

ლაქში; მე არ მეცხოვრება ბელის ადგილზე. მე ჩავალ ზღვაში და ვიცხოვრებ ჩემს მეუღლე ეასთან. თქვენზე კი გადმოისხმის წარღვნა წყლითა. (ხალხი), პირუტყენი, მფრინველნი მოსწყდებიან; თევზები... შემდეგ, რამოდენიმე გაურჩეველ სტრიქონს დაბლა, მოთხრობილია ხომალდის აშენება. „მეხუთე დღეს მე დავიწყე ხომალდის შენება და ავაშენე ას ოცი ნახევარწყრთა სიმალით, პალუბასაც ამდენივე ჰქონდა სივრცე, გაუკეთე მას ცხვირი და მაგრად შეეკარი. ხომალდი ავაშენე სამ სართულიანი, თვითელი სართული დაეყავი ცხრა ცხრა განყოფილებად და ყველგან დაუცევ რიკები. მოვიბოვე ანძი და ყველაფერი, რაც საჭირო იყო. სამი საწყაული მიწის კუპრი ვიხმარე კედლების გასაფისავათ. ექვსი საწყაული ნავთი შევიტანე ხომალდში, მუშებმა შემოიტანეს სამი საწყაული ზეთი. ერთი საწყაული შევინხე სასხვერპლოდ, ხოლო ორი საწყაული შკიპერმა (ხომალდზე მოსამსახურე) დაურჩია, მე დავკალი საქმელად ხარები... დიდი ქურები თავლით, ზეპით და ღვინით... როგორც საახლწლოთ... ხომალდი დავასრულე“.

უსტონაპისტიმმა შეიტანა ხომალდში მთელი თავისი ქონება და შეიყვანა ყოველ გარი ცოცხალი არსება, მთელი ოჯახობა მოსამსახურეებით, „პირუტყენი ველისანი და მხეცნი, აგრეთვე ხელოსნები“. მე შევედი ხომალდში, განაგრძო ბრძენმა და დავხურე კარი. შკიპერს პუზურშადღურატს ჩავაბრე ეს დიდი სახლი მთელი თავის ბარგით. და აი გაჩნდა პირველი სხივი ცისკრისა; შავი ღრუბლები მოფენინეს ცის კამარს და რამმონმა დაიქუხა მათში, ხოლო ნაბუ და მარდუკი წამოდგნენ წინ. მომსრველი სულელები ვილოდენ მთებზე და სახლებზე. ურუგალმა გამოუშვა ქარიშხალი, აღარი მოდის და ყოლიფერს ანადგურებს, ანუნაკებს მოაქვთ ლამპრება და ანათებენ დეიამიწას, მიუხედავად იმისა, რომ რამმონი ქარიშხლით იღებს მტვერს და აბნელებს სინათლეს“. წარღვნის საშიშროებამ შეაძრწუნა თვით ღმერთებიც. „იგინი იმალებიან ანუ ღმერთთან; როგორც ძაღლები თავის ქოხში, ღმერთები ისე იხრუკებიან ცის მოაჯირთან. მწუხარების

გამო იშტარი ხმამალა ლაღადებს... მასთან ღმერთებიც ატირდენ; იგინი ისხდნენ მწუხარე, თავჩაქინდრული, უძრავნი; მათი ბაგე მაგრად იყო მოკუმული“. ბაბილონურ თქმულებით წარღვნა გაგრძელდა ექვს დღეს და ექვს ღამეს, —ხოლო მეშვიდე ღამის ალიონიდგან ქარიშხალი დასცხრა და წყალი აღარ ღელავდა უსტონაპისტიმის ხომალდი გაჩერდა ნახარის მთაზე და იდგა აქ ექვსი დღე. „მეშვიდე დღეს ალიონზე სთქვა ბრძენმა — მე გამოვუშვი მტრედი. მტრედი მიფრინავდა და მოფრინავდა და რადგან ვერსად მოისვენა, დაბრუნდა, მაშინ მე გაუშვი მერცხალი. მერცხალმა იფრინა და რადგან ვერსად მოისვენა, მობრუნდა. მაშინ მე გამოვუშვი ყვავი. ყვავი გაფრინდა და რადგან წყალი დაკლებული ნახა, დაიწყა ქამა. და არ დაბრუნებულა. მაშინ მე გამოვუშვი ყოველი ცხოველი და შევსწირე სხვერპლი. მე ავაგე სასხვერპლო მთის წვერზე, გავამწკრივე საღეთო ქურქელი, შეიდ შეიდი თითოულ რიგში, ჩავდევი მათში ნაძვის ნაფოტები და სხვა საქმეველები. ღმერთებმა იყნოსეს კეთილ სურნელება; ღმერთებმა იყნოსეს სასიამოვნო კეთილ სურნელება; როგორც ბუზები, ისე შეგროვდენ სხვერპლის შემწირველის გარშემო. როცა მოვიდა ღმერთ ქალი იშტარი, მოიხსნა თავის მანიაკი (ოჯერელე), რომელიც მისი სურვილისამებრ გააკეთა ღმერთმა ანუმ. „თქვენ, ღმერთებო! (სთქვა მან) ვიფიცავ ჩემს მანიაკს, მე არ დავივიწყებ ამ დღეებს — მესსომება იგინი! დაე ყველა ღმერთები მოვიდნენ სხვერპლზე, ხოლო ბელმა არ გაბედოს მოსვლა, რადგან იმან უგუნურად მოავლინა წარღვნა და წარწყმიდა ჩემი ხალხი“. როცა შემდეგ ბელი მოვიდა და დაინახა ხომალდი, გარისხდა და ალიესო გულისწყრომით იგიგის წინააღმდეგ. „ვინ არიან ეს ცოცხალი არსებანი, რომ გადარჩენილან? ერთი კაციც რომ არ დარჩეს ცოცხალი!“ მაშინ ღმერთმა ნიბიშმა განალო პირი. მიუბრუნდა ბელს და წარმოსთქვა: „არავინ არის ამის მიზეზი გარდა ეასი! ეს გამოკდილია ყოველგვარ ვერაგობაში“. მაშინ ეამ განალო პირი და უთხრა ბელს: „შენ ძლიერი წინამძღვარი

ხარ ღმერთებისა. მაგრამ, როგორ მოგივიდა, ასე უგნურად რომ მოიქცეო და წარღვნა მოაგლინე! ცოდვილმა თავის ცოდვის მისაგებელი მიიღოს და ბოროტის მოქმედმა თავის ბოროტი საქმეებისათვის. მაგრამ იქმენ მოწყალე, რათა არა ყოველივე მოსწყდეს! წარღვნის მაგიერ, ღომები მოვიდნენ და შეამკირონ ხალხი; წარღვნის მაგიერ, ვეფხვები მოვიდნენ და შეამკირონ ხალხი; წარღვნის მაგიერ, შიმშილობამ მოკლეს ქვეყანისაგან ხალხი; ქირი მოვიდეს და მოახროს დედამიწა. მე არ გამოცია ღმერთების გადაწყვეტილება; მხოლოდ არტახანს ეუწყა იგი სიზრმით“. მაშინ ბელი მოვიდა გონს. იგი ავიდა ხომალდზე და მეც ამიჯვანა; აგრეთვე ჩემი ცოლიც და დაჩოქა იგი ჩემთან ერთად; მოგვიბრუნდა, დაღვა ჩვენ შორის და გვაკურთხა: აქამდის (სთქვა მან) უსტნაპისტიმი მომაკვდავი კაცი იყო; აწი იგი და ცოლი მისი იქნება ღმერთების მსგავსი. უსტნაპისტიმმა იცხოვროს შორეულ ქვეყანაში, მდინარეების შესართავში. და ამიყვანეს მე, და მომიყვანეს შორეულ ადგილს მდინარეების შესართავში“. („Библия и Вавилонъ“ стр. 82).

თქმა არ უნდა მოყვანილი ზღაპარი ახლო წაავსოს მოსეს თქმულებას წარღვნაზე, მაგრამ ამასთან მათ შორის დიდი განსხვავებაც არის, რომლის მიხედვით ზოგიერთი მომხრე ამ თქმულების ბაბილონიდან გადმოღების მაგ. გუნკელი, ამტკიცებენ, რომ ბაბილონის თქმულება თავის დღევანდელი სახით არ შეიძლება ყოფილიყო ის დედანი, რომლისაგანაც განვითარდა ბიბლიის თქმულებაც. განსხვავება ამ ორ თქმულებათა შორის ძრიელ დიდია. ბაბილონური თქმულება, როგორც ვნახეთ, აღბეჭდილია მრავალღმერთობის ხასიათით, და ამასთან, რაც შეიძლება, ტლანქით. „ღმერთები, — ვკითხულობთ აქ, — იმაღებიან ღმერთ ანუსთან, როგორც ძაღლები თავის ქოხში, ღმერთები ისე იხრუკებიან ზეციურ მოაჯირთან. როგორც ბუზები, ისე ირეოდენ იგინი სხვერპლის შემწირველის გარშემო“. ამასთან თვით წარღვნა წარმოდგენილია, როგორც ბედის უგნურება, ხოლო უსტნაპისტიმის გა-

მოსხნა, როგორც ეას ჯიუტობა. ბიბლიის თქმულება წინააღმდეგ სასტიკად იცავს ერთღმერთობას და უთითებს ამ მოვლენის ღრმა აზრზე და დიდ მნიშვნელობაზე. საზოგადო ხასიათი და მიმართულება ბაბილონის თქმულებისა იმდენად უცხოა ბიბლიის მწერალთა მსოფლიო შეხედულებისაგან, რომ სრულიად არა გვაქვს უფლება, ვიფიქროთ, რომ ვინმე მათგანმა ისარგებლა ბაბილონის თქმულებით, როგორც მასალით თავის თქმულებისათვის“. („Библия и Вав.“ стр. 82).

მიუხედავად ამისა ბაბილონის თქმულება არსებითად მართალია, ე. ი. მართალია იმდენად, რამდენადაც იგი აღარებს წარღვნას, როგორც ისტორიულ ფაქტს, როგორც ნამდვილ მომხდარ ამბავს. თქმულება წარღვნაზე ძრიელ გავრცელებულია და თითქმის საყოველთაო და ეს საუკეთესო და უტყუარი საბუთია იმისი, რომ ყველა ამ თქმულებას საფუძვლად დაედო ერთი და იგივე ისტორიული ფაქტი. ბ. რ. ანდრე, რომელმაც განსაკუთრებით შეაგროვა და გამოიკვლია სხვა და სხვა თქმულებები წარღვნაზე, უჩვენებს ორმოცამდე ისეთ თქმულებებს, რომლებსაც არსებობა არ შეიძლება აიხსნას ერთი მეორისაგან. ამ ნაირად თქმულება წარღვნაზე, როგორც ისტორიულ ფაქტზე, მოსემდინაც იქნებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ისე სპეტაკი, როგორც ბიბლიაშია, რომელიც ამიტომ ღვთის განცხადებულად მიგვაჩნია იმის დაპარაკი, რომ მოსე განათლებული კაცი იყო და ზღაპარი გადააკეთაო, ტყუილი სიტყვის ბარაკა და მეტი არაფერი.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

რევიზიის დასასრული.

უწმიდესი სინოდის განკარგულებით ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ რევიზია მოახდინა იმერეთის ეპირქიაში. უქაზის ძალით მას

მინდობილი ჰქონდა ეპარქიალური მართვა-გამგების რევიზია. იქ განსაზღვრული არ ყოფილა თუ საიდგან უნდა დაწყებულყო ეს რევიზია და სად გათავებულყო; მაშასადამე იგი უნდა ყოფილიყო საზოგადო და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთი რევიზია არ ახლავს იმერეთის ეპარქიას, უნდა შეჩებოდა ეპარქიალურ მართვა-გამგებობას დაწყებული კათალიკოსობის დამხობიდან, ე. ი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მოსპობიდან, ვიდრე დღემდე. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა: რევიზია შეეხებოდა მხოლოდ ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს მართვა-გამგებობის ხანას და ამითვე დასრულდა. რა იყო ამის მიზეზი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ვაი სირცხვილო, თუ იმერულმა „ღონისებმა“ გამოიწვიოს იგი! გასაკვირვებელი აქ არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ღონისების“ წერა არსებითი თვისებაა იმერლებისა. „ღონისი“ იმერლის ხმალია, რომელიც, უნდა ხაზგასმით მოგახსენოთ, შინაურებზე სჭრის. ჩვენ საბუთი გვაქვს ასე ვიფიქროთ, მაგრამ ღმერთმა აპატიოს ყველას. ჩვენ ეხლა ამის სადევრათ და საქებრად არ გვცალია, ჩვენ უფრო სხვა ფიქრი გვიპყრობს: რა შედეგი მოჰყვება ამ რევიზიას ან ეპარქიის და ან ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს შესახებ? ეს საკითხი მით უფრო თავსატეხია, რომ თვით რევიზია არა ჩვეულებრივია, აქნამდის იმერეთის ეპისკოპოსი თავისუფალ თვითმმართველ ეპისკოპოსად ითვლებოდა, იგი სრული გამგე იყო საეპარქიო მართვა-გამგებობისა და თუმცა ამ ბოლოს დროს რამოდენიმედ შეეკვეცა ფრთები, მაგრამ რევიზიას მაინც არ ელოდა, რადგან ასეთი მაგალითი არსად მომხდარა არა თუ საქართველოში, არამედ, მგონი, მთელ რუსეთის იმპერიაშიც. რევიზია თავისთავად, რა თქმა უნდა, არაფერია, მხოლოდ საწყენია, რადგან არა ჩვეულებრივი მოვლენაა და ეპისკოპოსის ხარისხს ამცირებს, ან კი რა უნდა აღმოაჩინოს რევიზიამ? ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს მართვა-გამგებობა არაფრით განირჩეოდა სხვა ეპისკოპოსთა მართვა-გამგებობისაგან, თუ მათზე უკეთესი არ ყოფილა, მაინც საზოგადო არ სებულ კანონებს არ გადაცილებია, და თუ

უნებლიეთ რამე შეცდომა მოუხდა, ეს ხომ მომაკვდინებელ ცოდვათ არ უნდა ჩაითვალოს.

შეიძლება ეხად აღებულმა ავტოკეფალობამ გამოიწვია რევიზია თავის შედეგებით, მაგრამ აქ რაღა რევიზია იყო საჭირო, როდესაც თავიდან დაწყებული ბოლომდე ყოლიფერი თვალსაჩინოდ ხდებოდა და არაფერი დაფარული არ ყოფილა. თუ ავტოკეფალობაზე სჯობასი და მისი მოპოებისთვის მოქმედება მართებლობისთვის საწყენი იყო, რა უშავდა, რომ თავიდანვე ეპრძანებია და ჩუმსაც არავინ ამოიღებდა, და თუ ეს საკითხი ოფიციალურად უმადლესად ნება დართული შეიქნა, რალასთვის უნდა გახდეს მომაკვდინებელ ცოდვად მისი გაყვანა, მის განხორციელებაზე ზრუნვა მით უფრო, რომ სამღვთო და საერო კანონები და აგრეთვე ისტორია სრული მომხრენი არიან არა თუ მხოლოდ მისი სამართლიანობისა, არამედ მისი დიდმნიშვნელობისა მართლმადიდებლობისათვის. შეიძლება ერთის და ორისთვის მოსაწონი და სასიამოვნო არ იყოს ავტოკეფალობა და მისი მომხრენი მუცნებელ პირებად მიანჩნდესთ, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ აძლევს მათ საჯონ იგინი; მათი მსაჯული მთელი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიაა, და თუ ამ ბატონებს ნართლმადიდებლობა რამეთ მიანჩნიათ, რამეთ აფასებენ, მსჯავრის დადებასაც კი ვერ უნდა ბედავდენ იმ საგანზე, რომელიც კერძო კაცის ან ეპისკოპოსის კომპეტენციას, უფლებას, აღემატება და მხოლოდ მსოფლიო ეკლესიის უფლებას ექვემდებარება. ამიტომ ამ მხრივ რევიზიას არ უნდა დაექვემდებაროს ავტოკეფალობის საკითხზე კვლევა-ძიება მით უფრო, რომ აქ ყოვლად სამღვდლო ლეონიდე პირადად არაფერ უნაშია: ავტოკეფალობა აღძრა მთელმა სამღვდლოებამ და რათქმა უნდა, ეპისკოპოსიც თან უნდა გაჰყოლოდა, თუ იგი სამწყსოს მწყემსი იყო და არა სახელმწიფო პოლიტიკური აგენტი. რა საკვირველია დიდი უმრავლესობა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებისა იმ აზრისანი იყვნენ და არიან, რომ ავტოკეფალობა სეპარატიზმის ნიშანია, მისი პირველი ნაბიჯია და საქართველოს

სამღვდელოებაც იმ განძრახებით ეძებს საეკლესიო დამოუკიდებლობას, რომ გაადვილოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოებაო. ასეთი აზრი მას მოუვა თავში, ვინც პოლიტიკას დაანაცვლა სარწმუნოება, ვინც მოქალაქობრივ წესწყობილებას შეწირა მართლმადიდებლობა და მისი წესწყობილება. მხოლოდ მართლმადიდებლობის კეთილწარმატების სურვილმა აიძულა საქართველოს სამღვდელოება აღეძრა საკითხი ეკლესიის ავტოკეფალიისა. იმერეთის სამღვდელოებამ თავიდგანვე იცოდა, რა მნიშვნელობას მისცემდა ამ საკითხს. ზოგიერთი ბოროტი ენა-პირი და ამიტომაც პეტრიაში აღიარა, რომ საქართველო პოლიტიკურად განუყრელია რუსეთის იმპერიასთანო. ყოველ შემთხვევაში ავტოკეფალიის საქმე ერთს და ორს არ ედება ბრალად და არც კერძოთ ლეონიდე ეპისკოპოსს.

სხვა საქმეა მართვა-გამგეობის კანონს გარეშე წარმოება და უმეტეს საეკლესიო ან სახაზინო უფლებების გაფლანგვა. თუმცა ამ მხრივ რევიზია ვერაფერს აღმოაჩენს, მაგრამ თუ ეს იყო მისი უკანასკნელი მიზანი, საქმე ზევიდგან კონტორიდგან უნდა დაეწყო და არა მეორე ხარისხიდან ეპარქიიდგან. არავისთვის დაფარული არ არის ის „ბოდლოლები“, რომლებმაც შეიხვედით ბევრი გლეხი გააზნაურდა და აზნაური გაკნიაზდა. ვინ არ იცის, რომ ორასი ათას ზანეთამდე ღარიბი სამღვდელოების ფული გაიფლანგა არდაზიანის ხაზინადრობის დროს. გუშინწინ არ მოხდა, რომ ოთხმოცი ფუთი საქმე გამოაჩანჩალეს კონტორის არხივიდგან გასაყიდლად, თუ წყალში გადასაყრელად, ღმერთმა იცის? და ვინ იცის რამდენ ბოროტ მოქმედებას აღმოაჩენდა მკაცრი რევიზია ეკლესიის მართვა-გამგეობაში, მაგრამ... აი აქედგან უნდა დაწყებულიყო მკაცრი და პირუთენელი პირველი რევიზია და შემდეგ ვადასულიყო იმერეთზე და გურია-სამეგრელოზე. მაშინ აღიარავს ეკლე არ ექნებოდა მართებლობის გულწრფელობაში, ეხლა კი ბევრი არა სასურველი ექვეები იხადება და ვაი რომ ამ ექვეებით მართლმადიდებლობის საქმე ფუჭდება რუსეთში და განსაკუთრებით ჩვენში...

ბოსლუველი.

ქორწინება თუ თავისუფალი სიყვარული?

(გადმოღებულია).

ღიადი მნიშვნელობა ქორწინებისა დამყარებულია არა მარტო ეკლესიის ავტორიტეტზე, არამედ ცნობილია დიდ მოაზრეთა და სწავლულთაგანაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არიან ქორწინების წინააღმდეგნი სწავლულთა შორისაც, ნამეტნავად სოციალისტები. მათი აზრით არსებული ქორწინება დრომოკმეული და წესებულებაა და მიტოვებული გამოუსადეგარი და მოსასპობი; ეხლანდელი ქორწინება, რომელიც მიღებულია ყველა სახელმწიფოში, არის ძალდატანებითი და იძულებითი, ის არსებობს მხოლოდ ქალთა დასაჩაგრელად.

მოწინააღმდეგეთა აზრით, ეხლანდელს ქორწინებას არ უღვეს საფუძვლად სიყვარული, ზნეობრივი ძალა, არამედ ეკონისტური მიზნები,—ქორწინებისგან ყველა გამოელის უთუოდ რაიმე ნივთიერს გამოაჩენას, სარგებლობას. ევროპის დიდ ქალაქებში, ამბობს ბებელი, დანიშნულია დრო და ადგილი, საცა თავს იყრიან საზოგადოების უმაღლესი კლასები მხოლოდ მისთვის, რომ გააჩინონ როგორმე ნიშნობა და ქორწინება,—ამ კრებებს შეჰფერის სახელი „საქორწინე ბირჟა.“ აქ დიდი ვაჭრობა ხდება ქალების ფულის შესახებ; ბევრი სერიოზული გაზეთებიც არ თავილობენ მაშუალობას და მაქანკლობას და ჰბეჭდვენ საქორწინე განცხადებებს რასაკვირველია, ყველაფერი ეს ხდება ნივთიერი სარგებლობისთვის და არა სიყვარულით. მეორე მხრივ, ქალები თხოვდებიან მხოლოდ მისთვის, რომ როგორმე მოეწყვენ ცხოვრებაში. ქალს მხოლოდ მაშინ შეუძლიან თავი დამოუკიდებლად და თავისუფლად ივრძნოს, როცა მას ექნება დიდი შემდგება, წინააღმდეგს შემთხვევაში საცოდავმა უნდა უცადოს, როდის მოესწრება გათხოვებას; ამიტომ ხშირია, რომ ქალები თითქმის ყურადღებას აღარ აქცევენ სიყვარულს. განა შესაძლებელიაა, კითხულობენ მოწინააღმდეგენი, ამის შემდეგ ლაპარაკი რაღაც ბედნიერს ქორწინებაზე?

არსებული აწ ქორწინება მოსასპობიაო ამბობენ მისნი მოწინააღმდეგენი, კიდეც მიტომ, რომ თავისუფალი არჩევნის ნება ეძლევა მხოლოდ მამაკაცს; ქალის ხვედრი ეხლა მხოლოდ ისლაა, რომ უფროსობა მამისა გასცვალოს ქრმის უფროსობაზე. ეს ხანდახან ადვილია, რადგანაც მოიპოვებიან კარგი მამებიც და კარგი ქრმებიც, მაგრამ ქალი შეიძლება დამოუკიდებელი იყოს მხოლოდ მაშინ, როცა ის ან საკმარისად ძლიერია, ან საკმარისად თავპარიანი, რომ არაფრად ჩააგდოს თავისი რეპუტაცია.

გაუყრელობა ქორწინებისა, სიკვდილამდე დაურღვეველობა ცოლქმრობის კავშირისა, მოწინააღმდეგეთა აზრით არის წყარო და მიზეზი საზარელი შედეგებისა. თუმცა სახელმწიფოს კანონების ძალით, ზოგიერთა მიზეზთა გამო, შეიძლება ცოლქმრის გაყრა, მაგრამ ამ გაყრის მიზეზები, რომლებიც ეხლანდელს კანონებშია აღნიშნული, არ არიან საკმარისნი. მოკვლა და მოწამვლა მეუღლისა, ხელოვნურად ქუუაზე შეშლა — ნაყოფია, მოწინააღმდეგეთა აზრით, ცოლქმრობის არა ნორმალური დამოკიდებულებისა.

ამბობენ კიდეც: ცუდია რომ ყოველსავე ქორწინების გარეშე კავშირის სთვლიან უზენო საქციელად და ამ კავშირის ნაყოფი — ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები ისჯებიან და იტანჯებიან. ექიმის ოსტერლენის სიტყვით, უკანონო შეილები აგებულებით, ქუუაგონებით და ზნეობრივად წარმოდგენენ სუხტს და დაკარგულს თაობას. მხოლოდ ის გარემოება, რომ ისანი წარმოსდგენენ უქორწინებელ მშობლებთან, მათ უკანონო კავშირისგან ხდება მიზეზი მათი სწეულობისა და სიკვდილისა შობანდე და შობის შემდეგაც. მეტი ნაწილი სწეულთა ბოროტმოქმედთა, და ავანჯათა ყველა სახელმწიფოებში გამოდიან უკანონო შეილებიდან; ყოველივე ეს არა სასურველი მოვლენა შედეგია ქორწინებაზე ცრუ შეხედულობისა. ბევრი კიდეც სხვა შედეგის დევს აწ არსებულ ქორწინების დაწეებულებას, სხვათა შორის ერთი მათგანი ის არის, რომ მექორწინეთა რიცხვი საშინელი სისწრაფით

კლებულობსო. ბებელის ანგარიშით, ას ქალში მხოლოდ ოთხმოცდა ოთხს შეეძლო გაუხოვება 1885 წელს, ამიტომ, დასკვნიან სოციალისტები, ქორწინება მომავალში დრო მოკმულ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოსო. მათი აზრით, ქორწინების ადგილი უნდა დაიჭიროს „თავისუფალმა სიყვარულმა“. „თავისუფალი სიყვარული იმგვარივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა, როგორც ბევრი სხვა; ამიტომ მას არ ესაჭიროება არც ეკლესიის ლოცვაკურთხევა და არც სახელმწიფოს დაცვა. თუმცა სოციალისტები წინააღმდეგნი არიან პოლიგამიისა — მრავალცოლიანობასა, და მათი აზრით უნდა იყოს სულიერი კავშირი მომავალ დედმამის შორის, მაგრამ ისინი მაინც საჭიროდ სთვლიან ებრძოლონ ეკლესიურს შეხედულობას ქორწინებაზე.

უმთავრესი მიზანი ქორწინებისა არის შეილთა შობა. იბადება საკითხი, რა მიეღიით იმ შეილებს, რომლებიც დაიბადებიან „თავისუფალი სიყვარულის“ მეფობის დროს ამ კავშირისგან? ამის საპასუხოდ ბებელს მოჰქავს ბევრი პროექტები, რომლებიც, მისი აზრით, მომავალში განხორციელდებიან. გააშვებინებს თუ არა დედაძუძუს, ბავშვებს მაშინვე მოათავსებენ საზოგადო დაწესებულებაში, საცა სხვა და სხვა სათამაშოები იქნება გამართული. ბავშვები აღიზრდებიან ყველანი ერთად, რადგანაც ერთად აღზრდა უფრო ადვილია, ვიდრე თითოსი ცალცალკე; აღზრდა და სწავლება სკოლებში ჩინებულად იქნება მოწყობილი. ეხლაც ხომ ძალიან უხარიათ ხოლმე მშობლებს, როცა მათ დროებათ მაინც აშორებენ ხოლმე შეილებს სკოლაში სწავლების დროს; განა ბევრს მშობლებს შეუძლიანთ ასწავლონ თავიანთ შეილებს? ნულარას ვიტყვით მაზე, რომ ბევრმა მათგანმა ეს არც კი იცინ. განა ეხლა ათასობით არა სწავლობენ ბავშვები ერთად სასწავლებლებში, მონასტრებში და სხვანაირად? ბებელის აზრით, შეძლებული კლასები მხოლოდ პირმოთნეობენ, როცა არ მოსწონთ სოციალისტთა სურვილი ბავშვების საზოგადოდ სწავლების მოწყობისა, მომავალს სახელმწიფოში მშობლები მადლობლები იქნებიან, როცა

მათ მოშორდებით მოვალეობა შეიღებოსთვის მუდამ ყურის გდებისა. მაგრამ, რადგანაც მაშინ საკმარისად შემცირებული იქნება სამუშაოდრო, მშობლებს შეეძლებათ იმდენი ხანი მოახმარონ თავისი შეიღების მოვლას, რაკდენსაც ვერ ახერხებენ ეზღანდელს პირობებში; „მაშინ აღზრდის საქმე სრულად მშობლების ხელში გადავა, რადგანაც მათზე იქნება დამოკიდებული ამ საქმეში ცვლილების და გაუმჯობესების შეტანა.“ რა გვეთქმის ყველა ამასზე?

(შემდეგი იქნება.)
სარკინელი.

კვირიღამ კვირობაღამე.

28 მაისს დღის 11¹/₂ საათზე საქართველო-ამერიკათის სინოდის კონტორაში მოხდა უმაღალითო, ყოვლად გაუგებარი, აუხსნელი და საზიზღარი მხეცური მკვლელობა. აი გარემოება, როგორც გავიგეთ სხვა და სხვა წყაროებიდგან: საათის თერთმეტის ნახევარზე ექზარხოზი მესენაქის თანხლებით თავის სასახლიდგან გამობრძანებულა კონტორის სდომაზე დასასწრებლად. როცა კონტორაში შესულა მას დადარებია ვილაც ყმაწვილი ახალგაზდა კაცი მღვდლის ტანისამოსში და ლაპარაკი დაუწყო. შემდეგ როცა კიბე აუვლია და პროკურორის კაბინეტამდის ჰისულა, აქ ვილაც ორი ყმაწვილი კაცი დავედრია და ერთ მათგანს თხოვნასავით დაკეცილი ქალღი მიუერთმეცია, ექზარხოზი შემდგარა და ამ დროს მკვლელებს მაუხერები აუხსლიათ და რვა ჭრილობა მიუციათ. მენაკეც ფეხში დაუჭრიათ. ეს უკანასკნელი ამორატებული კანცელარიაში შევარდნილა. ოსამსახურენი გამოცვენიღან გარეთ და ექარხოზს მიშველებიან; ამ დროს მისს მაღალ-ოვლად უსამღვდელოესობას ლაპარაკის ღონე იარ ჰქონია და ოცი წამის შემდეგ გადაკვილია თავის სასახლეში. ვერც ის მღვდელი, ა ვერც ნამდელი მკვლელები ვერ იპოვნეს. ინტორასთან მდგომმა დარაჯმა (გოროდო-იმი) თოფი ესროლა მკვლელს და, ამბობენ,

კიდევ დაუჭრაო. ამავე დღეს ერევნის მოედანზე სასიკვდილეთ დაუჭრიათ „ოხრანოე ოტ-ლეღენის“ უფროსი, რომელიც განსვენებულის ექსარხოზის სასახლიდგან დაბრუნებული მონავალა ეტლით.

კოტა რამ ტყიბულზე.

(კორესპონდენცია).

მკითხველს კოტად თუ ბევრად გაეგონება რამე ამ „მყუდრო“ სოფელზე. კარგახანია რაც მე ტყიბულს ვიცნობ და, — რამდენათაც შემიძლია ხალხის ცნობა, — მსკაკსი აქაური ხალხისა არსად მინახავს. სინათლე ამ ხალხს შესამჩნევად ეჯავრება. ნივთიერად კი სხვა სოფელს ბევრით არ ჩამოუარდება ტყიბული, ქუთ. გუბერნიაში, მეტადრე აქაური ვაჭრები რასაც ამტყიცებს მათი (ვაჭრების) „წამოკიმული“ სახლები. მოიხედაეთ ამ სახლების გვერდით და დაინახავთ სკოლას ყოვლად მიხრწნილს, რომელიც ლამის დაინგრეს და ქვეშ მოჰყვეს აუარებელი ბავშვი მასწავლებლითურთ. რამდენჯერმე იყო აქ ლაპარაკი ამ სკოლის შესახებ, რომ დახმარება იღმოეწინათ და გაეკეთებიათ შესაფერი სასკოლო სახლი, მაგრამ ამოდ ჩაიარა. რამდენჯერმე სწავლაც შესწყვეტი სათანადო პარტებლობამ იმ მიზნით, რომ იგებ მოისაკლისონ და დაიწყონ სკოლის შენებაო, მაგრამ ამ ცდამაც ვერაფერი გააკეთა ხალხის სიჩუსე. მკვერმეტყველურად ამბობს: „თუ იქნება სწავლა ხომ კარგი, — თუ არა, — არც მაგაზე შეგიწუხდებითო“. ამის შემდეგ, რომ სულ არ გაჰქრალიყო სკოლის სახელი ტყიბულში, საჭირო შეიქნა სწავლის განახლება ჭველ პირობებში. თუმცა სკოლის შენობას ყურადღებას არ აქცევენ ტყიბულელები, მაგრამ ბავშვები ბლომად მოჰყავთ სკოლაში. ხშირად მასწავლებელი იძულებულია უარით გაისტუმროს მთხოვნელნი უადგილობის გამო. მოვიყვან მოკლედ ერთ მაგალითს ტყიბულელების და კეოძით აქაურ ვაჭრების დამახასიათებელს. აქ იყო ფოტის უფროსი ბატონი ი. მ. შვიდი წლის ტყიბულში საშა-

ხურის შემდეგ - ის გადიკვანეს (აღმატებით) სხვაგან. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოინდომეს მისი პატივისცემით გასტუმრება. გადასწყვიტეს მოეკრიბათ სულზე თითო მანეთი და გაეკეთებიათ სადილი. გაიგო თუ არა ეს ყოფილა ფორტის უფროსმა, სთხოვა ხალხს: „თუ ჩემი პატივის ცემა გინდათ, შეკრებილი ფული სამკითხველოს შესწირეთ და დაარსეთ ჩემდა სახ.ოვრათო“. სიმართლე უნდა ვსთქვა: ზოგს მოეწონა ეს აზრი, მაგრამ უმეტესობა წინააღმდეგი შეიქნა და ეს სიმპატიური საქმე სისრულეში არ იქნა მოყვანილი. ერთმა ვაქართავანმა, ლველზედ ხელი მოიკიდა, გასწია და სთქვა: „მე მშია, მშია, გაძლომა მინდა, რა შევითხება მოკლილები ხომ არ ხართ!“ ერთი სიტყვით აქაური ხალხის უმეტესი ნაწილი უფრო ადვილად გადიხდის თუმანს „სახინოთ“, ვიდრე მანეთს განათლების საქმისთვის. და აი სწორედ ეს არის მიზეზი ჩვენი სკოლის უბადრუკი მდგომარეობისა!..

მართალი შვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამია რედაქტორა!

უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი ჟურნალის უმაღლეს ბელეს ნომერში და მით მომცეთ საშუალება გამოვს'ცე პასუხი „ეშმაკის მათრახის“ იმ კორესპონდენტს, რომლებმაც ჩემზე გამოილაშქრეს და შურით აღსილი ცილის წამებით შეაფესეს თავიანთი წერილები ეშმაკისადმი.

„ეშმაკის მათრახის“ № 22 ოფიშკითი-დგან ვინმე „შენი სული“ სწერდა სხვათაშორის შემდეგს: „რადენ მოძღვრისაგან რა სიკეთეს უნდა ველოდეთ, ჯერ ქე გვაპატივა დრამა და მერე სტრატეგიების საშუალებით კაპეიკობამდის აკრიფაო“. ეს ბრალდება თუმც მთლად სიცრუეა, მაგრამ პასუხს მიცემა სასარცხოდ მიმ.ჩნდა, და ან რა საპასუხოა ის კაცო, ვისაც სული ეშმაკისათვის მიუტია, ან რა სიკეთეს უნდა ველოდეთ მისგან, თუ არა

შურს და მტრობას. მაგრამ, უთუოდ, იმავე ეშმაკის სულმა, ჩემი სიჩუმე თანხმობად მიიღო და კვლავ იმავე მათრახის № 27-ში ევედრება ეშმაკს, რათა მოახდინოს რევიზია ოფიშკვ. შეწახველ-გმმსესხებელ ამხანაგობაში, რომელსაც მე განვაგებ. და შემდეგ გაცხუნოს და გვხუნოს, რადგან არაფერი გავვეგება. ამ წერილის ბოლოში კი „პუჩიათ“ ინათლება ავტორი. ამის შემდეგ ნებას ვაძლევ ჩემს ავს, რომ ორიოდ სიტყვით პასუხი გავსცე ბ. პუჩია ეშმაკისსულს. და დავუმტკიცო ბ. ეშმაკის რედაქტორს, რომ მისა სული მტენარ სიცრუეს წერს ჩემზე, იქნებ კვლავ მაინც გადურჩეთ მის წარამარა მათრახებს (?). მართალია მღვდლებზე დაწერილ ლანძღვა გინებას ზოგიერთი რედაქციები სიხარულით ეგებებიან და წერენ, მაგრამ ამავე დროს ნუ დაივიწყებენ, რომ მღვდელთა შორისაც მრავლათ მოინახებიან ადამიანები. ეხლა ვკითხო „ეშმაკის სულს“: აბა როდის იყო, რომ ვაპატივე დრამა მრევლს და მერე ვუჩივლე და სტრატეგიების საშუალებით აკრიფე? მე კი ვიტყვი, რომ არაოდეს. სულ ხუთი ექვსი წლის მღვდელი ვარ, ჯერ სოფ. ქორიესუბანში (სენაკის მაზრა) ემსახურებდი და ორი წლისა და ნახევარის დრამა არ აიმილია, თუმცა იყო დრო, რომ კიდევ ავიღებდი, მაგრამ აღუთქვი მრევლს, არ ავიღებოქო და კიდევ შევასრულე. შემდეგ 1906-ის დასაწყ.სში გადმოვედი სოფ. ოფიშკვითში; - ქორეის უბნელებს დრამა მოთხოვეს იმავე წლის ივლისის თვეში და მე მიღების ბარათი მივეცი მათ, თუმცა შემეძლო, არ მიმეცა და პოლიციის საშუალებით ჩამებარებია ხედრი დრამა ფული. ესთხოვ სოფელ ქორეის უბნის სამრევლოს დამტკიცოს ბექლითი სიტყვით, თუ როგორ ვექცეოდი მას და აღიაროს ისიც, თუ ჩვეულესათ მქონდა ვისამე შეწუხება. რაიც შეეხება სოფ. ოფიშკვ-ის, რომელზედაც თქვენ ბრძანებთ, ბ. „ეშმაკის სული“, ხალხი მოატყუაო, არაფერი ამისთანა არ ყოფილა. სოფელ ოფიშკვითის მრევლმა მახოვა დრ.მის პატივება გიორგი კოლუაშვილის, გიგო კან.ძის და სხვათა პირით, რომლებსაც ვუთხარი: „1906 წლის დრამა სრულიად

მიპატიებიათქო, ხოლო 1907 წლის დრამის პატიკების უფლება არა მაქვს, რადგან საზოგადოდ იხიებათქო“.

ასეც მოხდა: 1906 წ. დრამა-ფული არ მომიტხოვია და არც ამილია. მაშასადამე დანაპირები ამისრულებია. რაიც შეეხება სტრატეგით დრამის ახიკვას, ეს საიდგან შეიძლება, როდესაც მე თვითონ შევეხვეწე ფულის ამკრებთ პავლე კეპულაძეს და ვლადიმერ მარგველაშვილს, რომ ჩემს მრველში დრამა სტრატეგით არ აეხიკათ. არკი ამ პირებმა ეს ნათლის მცემლის ეკლესიაზედ წირვის შემდეგ იქ დამსწრეთა წინაშე აღიარეს? ეს ამბავი მაშინ გახდა, როდესაც ერთი თქვენგანი გამოვიდა და „პროვოკაცია“ გასწია. ნუ თუ არ გახსოვს ის ვაჟბატონი, რომ სამართალში გამოვიწვიე, მარა ვერ გახდა და შემდეგ ბოლიშის მთხდა არჩია? მეტი არც მას უთქვამსრა, რასაც შენ არ ბრძანებ ეხლა, და იმედია. შენც იმ ცივ წყალს მიირთმევ, რაც მან მიიღო.

რაიცა შეეხება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საქმეს, რომლის შესახებაც რევიზიას გამოითხოვ თქვენი მამათ მთავრის ეშმაკისგან, იქაც იგივე მტკნარი სიტყუე გახლავს, ბ. „პუჩია“. ან კი სიმართლე სხვა დროს სად გითქვამს, აქ რო იტყოდი? როდის დაემალეთ კლიტეები? ვის არ მივეცი თანგარიში? რაც მე განვაგებ ამ საქმეს, განა ორჯულ-სამჯურ არ მოხდა საგანგებო კრება და დაწერილებით არ მოხსენდა, თუ რომელ ამხანაგს რამოდენი ქონდა გატანილი ფული, როდის გადააცილა ვადას და რამდენი ითვლებოდა მაზე თაენი და სარგებელი? დასასრულს აპრილს, წლიურ კრებაზე წლიური ანგარიში მზათ არ იყო? მაშ რაღა შენი „ეშმაკის რევიზია“ საქირო? ეს შეიძლება იმას გვიკითხინებდეთ, რომ მსესხებლები ვერ დავარჩევთ, რომელთა შორის ისეთებიც არიან, რომ დღიური საზრდო არ აქვთ და ფული ვერ გადავახდევინეთ? დიახ, დღემდი ვიკდილით, რადგან არაფერი საშვალება ქონდათ, ეხლა კი კარტოფილი, კომბოსტო და აბრეშუმი ცო-

ტა რამეს მისცემს ხალხს და ჩვენც თქვენდა სასიამოვნოთ მივუსევთ მამასახლისის თაენის ამლით და გადავახდევინებთ. მაგრამ მაშინ თქვენ და თქვენი დამქაშები იმაზე ასტებთ განგაშს, რომ მღვდელმა მამასახლისის ხალხი დაარბევია.

თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია; მაგრამ ყოველივე თქვენ მიერ მოგონილი ქორები უნდა სიტყვითი-სიტყვამდე დამიმტყაოთ, რაისათვისაც გიწვევთ სამართალში, ჩემის მხრით ვნიშნავ მოსამართლეებად საყულის სკოლის ზედამხედველს ბ. ანდრია ზაქარიას ძე სვანაძეს და მღ. მ. საბა ჩაჩუას. ვადათ ვნიშნავ, დღიდგან ამ წერილის დაბეჭდვისა, ორ კვირას, რომლის შემდეგ ველი თქვენა ნილაბის ჩამოხდას და მოსამართლეების დანიშვნას. და თუ ეს არ შეასრულეთ, მაშინ უფლება მექნება გიწოდოთ ცრუ და პროვოკატორი. მსაჯულთა განჩინი გაზეთის საშვალეებით უნდა იქნეს გამოცხადებული.

მღ. რევენ სანებლიძე



რედაქტორ-გამომცემელი
მღვდელი სიმონ მჟვდიანიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი :

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქნე. მქედლიძის სახლებში (საბურთალო — კ. ზაკოვის — შესახვევი № 17) გაიხ. ნა კერძო ო. ხელისიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსუ. ვ. ლთსხვა და სხვა სასწავლებელისათვის და ლებულობენ სარგებტიციოლაც.